ზურაბ ადეიშვილისა და გიორგი უგულავას ერთიან, განგრძობად გეგმას 2005 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში, რომელიც მიზნად ისახავდა დანაშაულებრივი ქმედებების გზით, მათ შორის ძალადობით, ქონების განადგურებითა და თაღლითობით, მედიის მიერ მთავრობის საქმიანობის გაშუქების კონტროლს და მთავრობის მიმართ კრიტიკისა და საზოგადოებრივი პროტესტის ჩახშობას, მათ შორის 2007 წლის 7 ნოემბერს. გარდა ამისა, მტკიცებულებები კონკრეტულად მიუთითებენ ფართომასშტაბიან კამპანიაზე არკადი პატარკაციშვილის წინააღმდეგ, რის მიზეზსაც წარმოადგენდა პატარკაციშვილის უარი დაექვემდებარებინა ტელეკომპანია „იმედი" სამთავრობო კონტროლს, და მისი ოპოზიციური პოლიტიკური საქმიანობა, რამაც გამოიწვია მისი ქონების განადგურება და ხელში ჩაგდება.

როგორც ეს დეტალურად არის აღწერილი ჩვენს სრულ ანგარიშში, რომელიც უფრო სრულყოფილად აფასებს სასამართლოს მიერ საქმისწარმოების პროცესში შესაფასებელ და გამოსაკვლევ კანონმდებლობას, ფაქტებსა და დაკავშირებულ საკითხებს, „ჯგუფს" მიაჩნია, რომ მტკიცებულებები საკმარისია ბრალდების შესახებ დადგენილების მხადაჭერისთვის და ამართლებს სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელებას **მიხეილ სააკაშვილის, დავით კეზერაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილის და გიორგი უგულავას** წინააღმდეგ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 194-ე მუხლის მე-3 ნაწლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებითა (ფულის გათეთრება) და 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

გთხოვთ, იხილოთ თანდართული ანგარიში, რომელიც მოიცავს დამატებით ანალიზსა და დეტალებს.

კიდევ ერთხელ მადლობას გიხდით ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და მოუთმენლად ველით თქვენთან მუშაობის გაგრძელებას.

პატივისცემით,

პოლ კოფი მოშე ლადორი სერ ჯოფრი ნაისი

თარგმანი სწორია,
მთარგმნელი:

„ჯგუფი"-ს წევრი მოშე ლადორი არ წარმოადგენს თავის მოსაზრებას კეზერაშვილის წინააღმდეგ ბრალთან დაკავშირებით, რომელიც არ უკავშირდება სრულად განხილული საქმის არსსა და მტკიცებულებებს.